დანართი №1

პეტიცია ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დაბა ქედაში და პირიქით მგზავრთა სამარშრუტო ტრანსპორტით მომსახურებას. პეტიციაში დასმული საკითხის შესაბამისად საჭიროა მგზავრთა გადასაყვანად 43 მარშრუტზე არანაკლებ 25 მიკროავტობუსით მომსახურება. შესაბამისი ტრანსპორტის შეძენა მუნიციპალიტეტს დაუჯდება ბიუჯეტიდან საშუალოდ 1,5 მლნ ლარი, რაც ამ ეტაპისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ დაფინანსდება დღევანდელი შემოსავლების გათვალისწინებით. ასევე, სოფლებიდან მგზავრთა ნაკადის რაოდენობა ვერ დაფარავს ავტომანქანების ექსპლოატაციის ხარჯებს და საჭირო გახდება სისტემატიურად პროგრამის სუბსიდირება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ვინაიდან პეტიციაში დასმული საკითხი აქტუალურია და გასათვალისწინებელია იმ მგზავრთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომლებიც მგზავრობენ სოფლებიდან დაბის მიმართულებით, შესაძლებელი იქნება საწყის ეტაპზე მოხდეს ბიუჯეტიდან შესაბამისი შესყიდვის განხორციელება პროგრამულად, კერძოდ: საწყის ეტაპზე შერჩეული უნდა იქნას რამოდენიმე სოფელი, სადაც მგზავრთა რაოდენობა შედარებით მაღალია სამუშაო დღეებში. დაქირავებული ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა შეიძლება მოხდეს სოფლებიდან ცენტრალურ გზამდე, რომლის ხარჯები დაიფარება პროგრამიდან ისე როგორც, ეს ხდება სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების დროს და ხარჯები იქნება მიზერული, რისი დაფინანსებაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებელი იქნება.